www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი

## 2024 წელი

10.10.2025
www.geostat.ge

10.10.2025

## მედიანური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით
## 2024 წელი

2024 წელს საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი გასულ წელთან შედარებით 7.6 პროცენტით გაიზარდა და 1332 ლარი შეადგინა.

2024 წელს მედიანური ხელფასი საშუალო თვიურ ხელფასზე 32.4 პროცენტით ნაკლებია. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური და საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელი 2018-2024 წლებში.

დიაგრამა №1

**მედიანური და საშუალო თვიური ხელფასი**
(ლარი)




საქმიანობების სახეების მიხედვით, 2024 წელს, ყველაზე მაღალი მედიანური ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში:

• სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება - 2 128 ლარი;

• სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება - 2 069 ლარი;

• ინფორმაცია და კომუნიკაცია - 1 983 ლარი;

• მშენებლობა - 1 943 ლარი;

• საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 1 919 ლარი.

10.10.2025

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი, საქმიანობის სახეების მიხედვით, 2024 წელს.

დიაგრამა №2

**დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი**
**საქმიანობის სახეების მიხედვით 2024 წელს**
(ლარი)



10.10.2025

2024 წლის მონაცემებით, მედიანური ხელფასი  საშუალო თვიურ ხელფასს ყველა სექტორში ჩამორჩება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე, წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასისა და საშუალო თვიური ხელფასის შედარება საქმიანობის სახეების მიხედვით, 2024 წელს.

დიაგრამა №3

**მედიანური თვიური ხელფასი და საშუალო თვიური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით, 2024 წელს**

(ლარი)



10.10.2025

## საინფორმაციო ფურცელი

მომხმარებელთა მხრიდან ხელფასების სტატისტიკურ მონაცემებზე მზარდი ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) დაიწყო შრომის სტატისტიკის დამატებითი მაჩვენებლის, დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასის წარმოება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე. მისი გამოქვეყნება დაგეგმილია წლიური პერიოდულობით.

საშუალო თვიური ხელფასის გასაანგარიშებლად საქსტატი ახორციელებს საწარმოებისა და ორგანიზაციების გამოკვლევას, რომლის ფარგლებშიც ყოველკვარტალურად დაახლოებით 15 000 სუბიექტი, ხოლო წლიური პერიოდულობით დაახლოებით 18 000 სუბიექტი გამოიკითხება. გამოკვლევა ითვალისწინებს საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან აგრეგირებული მონაცემების შეგროვებას სახელფასო ფონდის და დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ. აღნიშნული მხოლოდ საშუალო თვიური ხელფასის გაანგარიშების საშუალებას იძლევა და არ არის საკმარისი მედიანური ხელფასის დასადგენად.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებული გამოკვლევის ფარგლებში მედიანური ხელფასის გასაანგარიშებლად, საწარმოებისგან/ორგანიზაციებისგან საჭირო იქნებოდა ინდივიდუალური მონაცემების მოპოვება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა რესპონდენტების ტვირთს. ამიტომ, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მედიანური ხელფასის გაანგარიშება მთლიანად ეფუძნება ადმინისტრაციულ მონაცემთა წყაროებს.

## შენიშვნები

რელიზში გამოყენებული ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია შეესაბამება ევროპულ კლასიფიკატორს NACE rev.2.

**საკონტაქტო პირები:**
ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge